



საბანკო ინოვაციების განვითარების თანამედროვე ტენდენციები

რეზიუმე

სტატიაში „საბანკო ინოვაციების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“ აღნიშნულია, რომ საბანკო დარგში ინოვაციებად შეიძლება ჩაითვალოს: ახალი საბანკო პროდუქტების ან მომსახურების ეკონომიკური რეალიზაცია, უკვე არსებულების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, აგრეთვე ბიზნესის გაძღოლის საქმიანობის პრაქტიკის ახალი ტექნოლოგიური, მარკეტინგული, მმართველობითი ან ორგანიზაციული მეთოდები.

დამტკიცებულია, რომ ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება და მის შედეგად საბანკო ინოვაციების შექმნა გარკვეული ეკონომიკური ან სტრატეგიული ეფექტის მიღწევასა და მიმართული, რომელთაც შეიძლება მივაკუთვნოთ: ბანკის ფინანსური შემოსავლის გადიდება, ახალი კლიენტების მოზიდვა, ბანკის საბაზრო წილის გაფართოება, საკრედიტო ორგანიზაციის მუშაობის დანახარჯების შემცირება და სხვები.

აღნიშნულია, რომ მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში, კლიენტების გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით და შესაბამისი პროდუქტიული ჯგუფების გავითარების მიმართულებაზე დანოკიდებულებაში, მიღებულია გამოყოფილი იქნეს საბანკო ინოვაციების შემდეგი ჯგუფები: ინოვაციები ბაზრის არატრადიციულ სეგმენტებზე; ინოვაციები ფულად-საფინანსო ბაზარზე; ინოვაციები სასესხო კაპიტალის ტრადიციულ სეგმენტებზე; ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარება; ბიზნესის გაძღოლის კლიენტებზე ორიენტირებული მოდელის დანერგვა; საკუთარი ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაცია.

საკვანძო სიტყვები: საბანკო ინოვაციები, ინოვაციური ინვესტიციები, კონკურენცია, გლობალიზაცია, ტექნოლოგია, საბანკო სექტორი, მოდელი.

შესავალი: მსოფლიო საბანკო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპი ფინანსურ ბაზრებზე კონკურენციისა და კრიზისული მოვლენების გამაფრების პირობებში მიმდინარეობს. საბანკო საქმიანობის წარმატებული გან-

აკაკი გვარუტაძე

სტუ-ს პროფესორი

E-mail: akaki.gvarutsidze@mail.ru

ბიოგრაფი ცაავა

სტუ-ს პროფესორი, ე.მ.დ.

E-mail: g.tsaava@banklabonline.com

ვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი მუდმივი სიახლეების პოლიტიკაა. თანამედროვე პირობებში ინოვაცია ბანკების სტაბილურობის, კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს.

საბანკო ბიზნესის მიმდინარე როლი აშკარად საბანკო ინოვაციური საქმიანობის შემდეგი სამი ძირითადი კატალიზატორის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა: მსოფლიო ფინანსური ბაზრებისა და საბანკო მომსახურების ბაზრების გლობალიზაცია, საბანკო და არასაბანკო სექტორების მხრიდან მზარდი კონკურენცია, მსოფლიო ფინანსური კრიზისი. აღწერილი მოვლენები საბანკო მომსახურების ბაზრის მოთამაშეების ხარისხობრივ და რაოდენობრივ შემადგენლობაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახორციელებენ და მომხმარებლების ქცევაში საკვანძო ცვლილებებისაკენ უბიძგებენ, ამით კი ისინი ბანკებს ინოვაციების დანერგვის მეშვეობით საკუთარი კონკურენტული უპირატესობების შენარჩუნებისა და გადიდების ერთადერთ შესაძლებლობას უტოვებენ.

საკრედიტო ორგანიზაციაში ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება სტიქიურად არ უნდა მიმდინარეობდეს. დადებითი ეფექტის მიღება ინოვაციების დანერგვისაგან მხოლოდ ინოვაციური პროცესის მართვის შესაძლებლობის არსებობის პირობებში არის მიღწევადი, რაც შეუძლებელია საბანკო ინოვაციების მკაფიოდ გამოყოფილი მორფოლოგიის გარეშე, რომელიც როგორც მინიმუმ ინოვაციებისა და სახეცვლილებების განასხვავების შესაძლებლობას მოგვცემდა.

ინოვაციები როგორც საბანკო სფეროში სტაბილურობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის საკვანძო ფაქტორი განხილული აქვთ საკუთარ ნაშრომებში ი.ვ. ბარხატოვს, მ. ბერეხოვსკაიას, ვ.ს. ვიკულოვს, ლ.ვ. კოხს, ე.ნ. სმოლიანინოვას, ვ.ს. პროსალოვას, ა.ვ. მურავევას, ო.ი. ჟდანოვასა და ა.მ. კარმინსკის, ი.



კოზანაძესა და გ. კონტრიძეს, ლ. ქიქიაურს და სხვებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში საბანკო ინოვაციების არსის გამოვლენა და მათი კლასიფიკაცია, ასევე საბანკო სექტორში ინოვაციური განვითარების ტენდენციების გამოკვლევა მეტ ყურადღებას საჭიროებენ, რასაც მოცემული სტატიის მიზანი განაპირობებს.

დასახული მიზნის ჩარჩოებში ნაშრომში რიგი ამოცანებია გადაწყვეტილი, რომლებიც საბანკო ინოვაციების არსის უფრო სიღრმისეულად გაგებისათვის არის აუცილებელი, რომელთა შორისაა: საბანკო სფეროში ცნება „ინოვაცია“ განსაზღვრა, ინოვაციების ძირითადი სახეობებისა და მათი მახასიათებელი ნიშანთვისებების გამოყოფა, ინოვაციის დეტალური კლასიფიკაციის ფორმირება.

მოცემული ნაშრომი, საბანკო ინოვაციების თითოეული გამოვლენილი ტიპისა და მათი შესაძლო ცვალებადობის მიმართებაში განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოყოფის გათვალისწინებით, საბანკო დარგში ინოვაციის მორფოლოგიისადმი მიმართებაში ბოლოდროინდელი კვლევების აგრეგირებულ მონაცემებს წარმოადგენს.

ძირითადი საკითხის ჩამოყალიბება:

საბანკო ინოვაცია თავისთავად ინოვაციური პროცესის შედეგს, ანუ ბანკის ინოვაციური სტრატეგიის ჩარჩოებში განვითარების ქმედებებისა და გარემოებების თანმიმდევრულ ჯაჭვს წარმოადგენს. ინოვაციური პოლიტიკის დანერგვა და მის შედეგად საბანკო ინოვაციების შექმნა გარკვეული დადებითი ეკონომიკური ან სტრატეგიული ეფექტის მიღწევასა და მიმართულებით, რომელსაც შეიძლება მივაკუთვნოთ: ბანკის ფინანსური შემოსავლის გადიდება, ახალი კლიენტების მოზიდვა, ბანკის საბაზრო წილის გაფართოება, საკრედიტო ორგანიზაციის მუშაობის დანახარჯების შემცირება და სხვები (2, გვ. 59).

საქართველოს ბაზარზე ახალი საბანკო პროდუქტების, მომსახურებებისა და ტექნოლოგიების დამუშავების გამოცდილება ძირითადად მსოფლიო პრაქტიკაზეა დაფუძნებული. საქართველოს საბანკო სექტორი საკუთარ განვითარებაში გადის ყველა იმავე ეტაპებს, რასაც განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემები. დროითი შუალედის სიდიდე ინოვაციის ხასიათით განისაზღვრება. უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო პროდუქტებზე და მომსახურებაზე პატენტების გაფორმების პროცედურის არ არსებობის გამო საბანკო ინოვაციების ნებისმიერი სახეობები დროის საკმარისი მცირე პერიოდის

გასვლის შემდეგ ინოვაციებს სრულად არ წარმოადგენდნენ იქნება, რამდენადაც ისინი ბაზარზე და კონკურენტების გარემოში ფართე გავრცელებას მიიღებენ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს ბანკებს გადმოაქვთ არა მარტო ახალი პროდუქტიული მწკრივების წარატებული დასავლური პრაქტიკა, არამედ ინფორმაციული ტექნოლოგიებიც, ასევე ბანკების მართვის საკანძო მეთოდური ასპექტები, შესაბამისი ბიზნეს-პროცესების ტექნოლოგიური ასპექტები. მიუხედავად ამისა მიზანშეწონილია განხილვა სწორედ საბანკო საქმიანობის რეორგანიზაციიდან იქნეს დაწყებული პროდუქტებისა და მომსახურების პრინციპულად ახალი სახეობების ფორმირების მიმართებაში, რომელთა უმრავლესობას თან ახალი ბაზრების, მათ საკუთარ მომხმარებლებებთან ერთად, განვითარება მოყვება.

თუმცა ინოვაციური დასავლური პროდუქტებისა და მომსახურების საქართველოში პირდაპირი გადმოტანა ყოველთვის ისეთივე ფართე გავრცელებას ვერ ღებულობს და გარკვეული საკანონმდებლო შეზღუდვებისა და მომხმარებლების ფსიქოლოგიური თავისებურებების ძალისხმევით ზრდისა და განვითარების მქუხარე ტემპების დემონსტრირებას ვერ აღწევს. საბანკო სისტემების მნიშვნელოვანი განსხვავების გამო განვითარებულ ბაზრებზე ინოვაციების დანერგვის მაგალითის ბრმად გადმოღება ყოველთვის მოსალოდნელ შედეგს არ იძლევა. უფრო მეტიც, XX საუკუნის ევროპის ან აშშ-სათვის ეფექტური მეთოდები, როგორც ჩანს, XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოსათვის ასეთს არ წარმოადგენენ.

საბანკო სექტორის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია დემონსტრირებას ახდენს, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ტრადიციული დაკრედიტებისას მოგების ნორმა მაღალ დონეზე რჩებოდა, თუმცა დროთა განმავლობაში მისმა მნიშვნელობამ მკვეთრად შემცირება დაიწყო. ბანკებმა, მომგებიანობის ბაზის გაფართოებისა და ფინანსური შუამავლის როლის ჩარჩოებს გაღმა გასვლის მცდელობაში, პროდუქტის მარკეტინგიდან საკუთარი ყურადღება მომხმარებლის მარკეტინგზე გადაიტანეს და სამომხმარებლო მოთხოვნის ნებისმიერ ცვლილებაზე სწრაფი რეაგირების სტრატეგია დანერგეს, რამაც ახალი საბანკო პროდუქტების, მომსახურებისა და საქმიანობის სახეობების წარმოშობამდე მიგვიყვანა. საქმიანობის ტრადიციული სახეობებიდან რესურსების გადანაწილება და სასესხო კაპიტალის ბაზრიდან



წასვლა გახდა მიზეზი იმისა, რომ უკვე 90-იანი წლების ბოლოსათვის არატრადიციული პროდუქტებისა და მომსახურების დამუშავებაზე ორიენტირებული მსოფლიო საბანკო სისტემის ინოვაციური განვითარების საფუძველი გახდა.

ამრიგად, ახალი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების შექმნის მსოფლიო გამოცდილებაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე საკვანძო საკითხი:

უპირველეს ყოვლისა, უკვე არსებულ ბაზრებზე ახალი პროდუქტიული და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების ძიებებმა ისეთი სიახლეების წარმოშობამდე მიგვიყვანა, როგორიცაა: დეპოზიტური და საინვესტიციო სერთიფიკატები, საკრედიტო და დეპოზიტური ინსტრუმენტები მცურავი საპროცენტო განაკვეთებით, ობლიგაციების სხვადასხვა სახეობები (სიდრმისეული დისკონტო, სერიულები, მონაწილეობის ობლიგაციები), დეპოზიტური ბუდე, ფინანსური ოპერაციები ძვირფას ლითონებთან, თავდებობის პრაქტიკა იპოთეკური და სხვა სახის საკრედიტო გარიგებების და მრავალი სხვების განხორციელებისას. ბანკებმა ასევე საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების განხორციელებაც დაიწყეს.

მეორე მხრივ, გარკვეულ მომენტში საკრედიტო ორგანიზაციებმა, საკუთრივ სადაზღვევო ბიზნესით, ფინანსური ლიზინგით, კაპიტალის ნდობით მართვითა და უძრავ ქონებაში ინვესტირებით დაინტერესებით, ბაზრის პრინციპულად ახალ სეგმენტებზე გასვლა დაიწყეს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბანკების მიერ ახალი ბაზრებისა და ახალი პროდუქტიული მწკრივების ათვისების პრაქტიკა, სხვადასხვა სახის საკანონმდებლო, მაგალითად, სადაზღვევო ან ლიზინგურ საქმიანობაში შეზღუდვების გამო, დასაფლეთურისაგან რანდენადმე განსხვავდებოდა.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის განვითარება, რომელმაც მსოფლიო ფულად-საფინანსო ბაზრის განვითარებაში პრინციპულად ახალი ეტაპი დაიწყო და ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური კრიზისების მიზეზი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ XVII საუკუნის 50-იანი წლებში დერივატების შესახებ „ბრინჯისეული კუპონების“ სახით ცალკეული მოხსენიებები ხორციელდებოდა, კოლი და პუტი ოფციონებით ვაჭრობა მსოფლიო პრაქტიკაში მხოლოდ ლონდონის საფონდო ბირჟაზე XIX საუკუნის 30-იან წლებში დამკვიდრდა მტკიცედ. ფართე გაგრძელება ოფციონებმა, სვოპებმა, ფორვარდებმა, ფიუჩერებმა და სხვა წარმოებულ-

მა ფინანსურმა ინსტრუმენტებმა მხოლოდ XX საუკუნის 70-იან წლებში მოიპოვეს და იმ მომენტიდან მთლიანად მსოფლიოში მქუხარე ზრდის დემონსტრირება მოახდინეს. საქართველოში აღნიშნული საკითხი ჩასახვის სტადიაზეა.

ამრიგად, პროდუქტიული და საბაზრო საბანკო ინოვაციების განვითარების დაჯამებით, აღვნიშნავთ, რომ მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში მიღებულია, კლიენტების ცალკეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, საბანკო ინოვაციების შემდეგი ჯგუფები იქნეს გამოყოფილი:

1) ინოვაციები ბაზრის არატრადიციულ სეგმენტებზე (სადაზღვევო ბიზნესი, ფინანსური ლიზინგი, ინოვაციები უძრავ ქონებაში, სატრასტო ოპერაციები).

2) ინოვაციები ფულად-საფინანსო ბაზარზე (წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარი).

3) ინოვაციები სასესხო კაპიტალის ბაზრის ტრადიციულ სეგმენტებზე (ფინანსური შუამავლობის ეფექტიანობის გადიდება, დეპოზიტური სერთიფიკატები, ობლიგაციები მცურავი საპროცენტო განაკვეთებით და სხვები).

საკუთარი უცხოელი კოლეგების კვალდაკვალ საქართველოს ბანკებმა დაიწყეს ლიზინგურ, სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობის განვითარება, ძვირფასი ლითონებისა და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრებზე გასვლა, საქმიანობის სპეციფიკური სახეობების, მაგალითად, კოლექტორული მომსახურეობების ცალკეულ მიმართულებებში გამოყოფა. ამავე დროს როგორც ქართული, ასევე დასავლური ბანკები, პროდუქტებისა და მომსახურების ფორმირების ტექნოლოგიის მოდერნიზაციაზე დამოკიდებული მათი თვითღირებულების შემცირებისა და საკუთარი კონკურენტული უპირატესობების განმტკიცების მიზნით. მითითებული ორი პროცესის სუპერპოზიცია – ახალი პროდუქტიული მწკრივის შექმნა და ახალ ბაზრებზე გასვლა ტექნოლოგიური და სარესურსო კომპონენტების გაუმჯობესავენ ტენდენციებთან ერთობლივად – თავისთავად საბანკო საქმიანობის ახალი სტრატეგიის მიმდინარე ცვლილება და ფორმირება წარმოადგენს.

თუმცა ზემოთ საბანკო მომსახურების ბაზრის ინოვაციური განვითარების არა ერთადერთი საკვანძო ტენდენციაა აღწერილი. ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს მქუხარე განვითარების დაწყების მომენტიდან ბანკებმა, საკლიენტო მომსახურების გაუმჯობესებული სერვისების მიწოდებისათვის, საკუთარი შიდა ბი-



ზნეს-პროცესებისა და სხვების ოპტიმიზაციისათვის ყურადღება გაამახვილეს აღნიშნული პროცესის შედეგების გამოყენების უნიკალურ შესაძლებლობაზე. საბანკო განვითარების სტრატეგიის ცვლილებაზე განსაკუთრებული ზემოქმედება ნაღდი ფულადი მასის მართვაში ინოვაციებმა მოახდინეს, რომლებმაც არა მარტო საანგარიშსწორებო ოპერაციების სიჩქარის გაზრდა და განხორციელების მოხერხებულობა, არამედ ანგარიშისადმი დაშორებული შედეგების შესაძლებლობიანი ახალი მაღალტექნოლოგიური საგადახდო ინსტრუმენტების დამუშავებაც განაპირობეს. მსგავსი დამუშავებების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად XX საუკუნის შუა პერიოდში მსოფლიო ბაზრებზე პლასტიკური ბარათების გამოჩენა გვესახება.

დღევანდელ მომენტში საბანკო მომსახურების მსოფლიო და საქართველოს ბაზრებზე სულ უფრო და უფრო დიდ პოპულარობას იძენს სამი ინოვაციური მიმართულება, კერძოდ:

1) ინფორმაციული და კიბერნეტიკული ტექნოლოგიების განვითარება (როგორც შედეგი, საანგარიშსწორებო რისკიანი და პროგნოზული მოდელების გართულების შესაძლებლობის წარმოშობა, ინფორმაციული უსაფრთხოების ინსტრუმენტების განვითარება და სხვ.).

2) ბიზნესის გაძღოლის კლიენტზე ორიენტირებული მოდელის დანერგვა.

3) საკუთარი ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაცია.

კრიზისმა ბანკები განვითარების კლიენტ-ორიენტირებულ მოდელზე გადასვლა აიძულა: „წყლის ზედაპირზე დასარჩენად“ კლიენტების მოთხოვნილებებისადმი პირისახით მაქსიმალურად მიბრუნება და საქმიანობის ეფექტიანობის გადიდების მიზნით ბიზნესის არსებული პრაქტიკის გადახედვა გახდა საჭირო.

ამავე დროს საკრედიტო ორგანიზაციის მართვის ახალმა ტექნოლოგიებმა ისეთი მიმართულებების ჩამოყალიბება განაპირობეს, როგორიცაა კონტროლინგი და ინოვაციური მენეჯმენტი. დღეს ბანკები მართვის ერთიანი სტრუქტურის მქონე ცენტრალიზებული სისტემების დანერგვის აუცილებლობამდე მივიდნენ, რომელიც დანახარჯების შემცირებისა და მთლიანობაში საფილიალო ქსელში ტრანსლაციის შესაძლებლობის პროდუქტების გამჭოლი მწკრივის შექმნის საშუალებას იძლევა. საკრედიტო ორგანიზაციების მართვის ინოვაციები მიმართულია მათი როგორც ფინანსური შუამავლების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაზე, საოპერაციო დანახარჯების შემცირებაზე და ტრად-

იციული საბანკო აქტივებისა და პასივების უფრო ეფექტიან წარმართვაზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ტრადიციების განვითარება ურთიერთგანპირობებულია საბანკო ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროგრესით. მაგალითად, ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია რეალურ დროით რეჟიმში ბაზრებზე შედეგების შესაძლებლობებიდან გამომდინარე ერთიან კიბერნეტიკულ სივრცეში ფუნქციონირების აუცილებლობაზე დამოხმებული, რაც ინფორმაციული ტექნოლოგიები-ინოვაციებისა და მათი საბანკო საქმიანობასთან ინტეგრაციის გარეშე შეუძლებელია. მაგალითისათვის, მოცემულ მომენტში ინტერნეტ-ბანკინგი ბანკებისათვის საერთაშორისო არენაზე წარმატებული კონკურირების განხორციელებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს წარმოადგენს. ნაღდი ფულადი მასის მართვის ინსტრუმენტების ფართე კომპიუტერიზაციის საფუძველზე, ახალი პროდუქტებია შექმნილი, რომლებიც მიმდინარე ანგარიშების, ვადიანი დეპოზიტების, საუთიერთობო ფონდების აქციებისა და სხვების სრულ ინტეგრაციაზეა დაფუძნებული.

აქტიური განვითარება მიიღეს CRM (Client Relationship Management) ტექნოლოგიებმა. ბანკი უნდა ფლობდეს კლიენტის შესახებ ინფორმაციების მაქსიმალურ მოცულობას, შეეძლოს მისი გაანალიზება და გამოყენება, მათ შორის დამატებითი პროდუქტების კროს-გაყიდვებისათვის ან ლოიალურობის ამაღლებისათვის. აქ არ შეიძლება გვერდი აუვაროთ კომპანია Oracle-ს გადაწყვეტილებებს, რომელიც აქტიურად ინერგება არა მარტო ბანკების, არამედ ასევე სხვა საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციების, კომერციული აგენტებისა და სხვების მიერ.

კლიენტ-ორიენტირებული მიდგომას ბიზნესის გაძღოლისადმი ასევე კლიენტების შეფასების ინოვაციური სკორინგული (ქულებიანი) მოდელების ჩამოყალიბებამდე მივყავართ. მაგალითისათვის, სკორინგული მოდელი FICO Score-ს მეორე შთამომავლობის მეშვეობით ყოველთვიურად მიახლოებით მილიონი საკრედიტო გადაწყვეტილება მიიღება. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მოცემული სისტემა, რომელიც სტატისტიკურ მეთოდებზეა დაფუძნებული, საქართველოს ბაზარზე ინერგება დღეს, ხოლო აშშ-ში იგი – 10 წლით ადრეა დანერგილი. მარკეტინგული სიახლეები, რომლებიც მიზნობრივი აუდიტორიის სეგმენტების უფრო ზუსტად გამოყოფის ხარჯზე კლიენტების მოთხოვნილებების უკეთესად ანალიზირების შესაძლებლობას იძლევა, ასევე მრავალი ბანკის ინო-



ვაციური სტრატეგიის ფოკუსშია შესული. მაგალითისათვის, ვიდუოდაკვირებების კამერების დაყენება, რომლებიც ფოკუსირებული იქნება იმაზე, თუ კლიენტი რომელი პროდუქტებისა და მომსახურების რეკლამაზე ამახვილებდა უფრო ხანგრძლივ ყურადღებას და მისი მეშვეობით აღნიშნული ინფორმაციის დეტალური დამუშავებაც არის შესაძლებელი სათანადო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ასევე რისკების მართვის ინტეგრირებული სისტემის განვითარების მნიშვნელობა გამოავლინა. დღეს ფინანსური ბაზრები თავისთავად რთულ და მაღალტექნოლოგიურ გარემოს წარმოადგენს. წარმატებული რისკ-მენეჯმენტი ნებისმიერი საკრედიტო დაწესებულების ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის მიღწევის განუყოფელი პირობაა. თანამედროვე პირობებში დამუშავებადი რისკ-მენეჯმენტის უახლესი სისტემების უმეტესობა აქტუალური დასავლური მეთოდიკების დანერგვამდე და მათი საქართველოს ფინანსური ბაზრის სპეციფიკისადმი ადაპტაციამდე დაიყვანება. დომინანტური ხდება ინტეგრალური რისკ-მენეჯმენტი, რომელიც რისკის დონის გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე კონკრეტული მმართველობითი გადაწყვეტილებების გამოუშვავებას უწყობს ხელს, კერძოდ, VaR (Value at Risk), ROROC (Risk-Adjusted Return on Capital) და სხვები. მაგალითად, არც ისე დიდი ხანია Moody's-ში კონტრაგენტების შიდა საკრედიტო რეიტინგების შეფასების მოდელი იქნა ჩანერგილი მათი ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი ანგარიშებისა და კომპანიის დარგობრივი კუთვნილების ბაზაზე – მისმა ტექნიკურმა რეალიზაციამ Risk Analyst-ის სახელწოდება მიიღო. დამუშავებული მოდელები – ანალიტიკური პლატფორმით ტექნიკურ უზრუნველყოფას, გამოყენებისათვის მაქსიმალურად მოქნილ და მოხერხებულ, და შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას საჭიროებენ.

მიუხედავად იმისა, რომ საბანკო დარგში პრიორიტეტული საკლიენტო ჯგუფებისა და მათი მოთხოვნილებების ცვლილებასთან დაკავშირებული პროცესები შეიმჩნევა, მაგალითად, უმეტესი რესურსების რეალური სექტორის მსხვილ ორგანიზაციებში თავმოყრის გამო კორპორატიული და სინდიცირებული დაკრედიტების ბაზარზე აქტიური შესვლა, ინოვაციური დამუშავებების უმეტესი ნაწილი საცალო ბიზნესის სფეროზე დამოხმობას ითვალისწინებს, რომელიც თანამედროვე პირობებში უპირატესად კლიენტების დაშორიშორებული მომსახურებისა და თვითმომსახურების შესაძლებლო-

ბას ითვალისწინებს, კლიენტების მოთხოვნილებები, განსაკუთრებით მასიურ ბაზარზე ერთეული ოპერაციის უმნიშვნელო მოცულობითა და მისი დაბალი შემოსავლიანობით, ბანკისაგან ახალ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებას მოითხოვს. რენტაბელობა შეიძლება მხოლოდ თითოეული ოპერაციის მომსახურებაზე დანახარჯების მინიმიზაციის შემთხვევაში იქნეს მიღწეული. მაგალითად, საბანკო ბაზარზე რამდენიმე ხნის წინ გამოჩენილი Front Solutions – ის ინოვაციური სისტემა კლიენტს ტერმინალის მეშვეობით არა მარტო ფიჭვეური კავშირისა და საყოფაცხოვრებო კომუნალური მეურნეობის მომსახურების დანახარჯების გადახდასთან მიმართებაში, არამედ საბანკო პროდუქტების მთლიანი სპექტრის: ფულადი გზავნილების, კრედიტების დაფარვის, ანაბრების შევსების, საბანკო ბარათებთან ოპერაციების და სხვების მიღების შესაძლებლობას იძლევა. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ბანკების უმეტესობა კლიენტების მომსახურების კლასიკური მოდელიდან – ინტერნეტ-ბანკინგის, მობილური ბანკინგის, გარე სერვისების (ჯიხურები, ბანკომატები), სატელეფონო ბანკინგისა და „ბანკი-კლიენტის“ და რიგი სხვების მეშვეობით – დისტანციური საბანკო მომსახურების მოდელზე (დსმ) გადავიდა (1, გვ. 134).

ამავე დროს ისეთი რეგულაციური ტექნოლოგიების გამოჩენა, როგორიცაა სავაჭრო პლატფორმა Saxo Trader, რომელიც თავის თავში სავაჭრო ინსტრუმენტებისა და მომსახურების ფართე ნაკრებს მოიცავს, რომელთა შორისაა: Forex, აქციები, კონტრაქტები, ობლიგაციები და ფიუჩერსები, მოგების ავტომატურად ფიქსირებისა და რისკების მართვის შესაძლებლობების მდიდარი ნაკრებით, სავაჭრო ანგარიშებთან 20 სხვადასხვა ვალუტაში მუშაობის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა, ან Wincor Nixdorf, რომელიც ნაღდი ფულის ბრუნვაში ახალ გადაწყვეტილებებს ითვალისწინებს, ან უქაღალდო საბუთბრუნვა კონტრაქტების სასიცოცხლო ციკლის მართვისათვის და სხვა კორპორატიული საბუთების Contract Lifecycle, ან SAS-გან Credit Scoring-ის გადაწყვეტილება ბაზელი-III-ის ჩარჩოებში საკრედიტო რისკების მართვისათვის. აგრეთვე Diasoft კომპანიის გადაწყვეტილებები, რომლებიც ბანკის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობის მართვის ოპტიმიზაციის შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც მთლიანობაში საბანკო გარემოს შემდგომ განვითარებას ბევრად განსაზღვრავენ.



ინოვაციების განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის უსაფრთხოების ამაღლება წარმოადგენს. ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) განვითარების თანამედროვე მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით, მაგალითად, ისეთების, როგორიცაა: SOA ან Cloud Computing, ინფორმაციების დაცვის ტექნოლოგიებს ზრდის დიდი პერსპექტივები გააჩნიათ. სულ უფრო მაღალი მოთხოვნილებები წაყენება მონაცემების შენახვის ცენტრალიზებულად მართვადი ინფრასტრუქტურის ორგანიზაციას, რესურსების შენახვისა და ინფორმაციების სარეზერვო კოპირების ყველა საშუალებებით გამჭოლი მართვის განხორციელებას, შენახვის სისტემების საცავებისა და წარმადობის გადიდებას და ინდექსაციისა და მოძიების პრინციპულად ახალ მეთოდებს. მაგალითად, კორპორაციული ინფორმაციული უსაფრთხოების საგარეო მუქარებს უპირისპირდებიან მონაცემების გაჟონვის აღმოფხვრელი ახალი მეთოდები – Data Leak Prevention. ბანკის საერთო უსაფრთხოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს პრცესულად-ორიენტირებული ინოვაციურ მიდგომაზე დაფუძნებული პერსონალური მონაცემების დაცვა.

გუბრუნდებით რა საქართველოს საბანკო სექტორში ინოვაციების განვითარების საკითხებს, არ შეიძლება მხარი ავუაროთ მისი საკანონმდებლო რეგულირების თავისებურებებს. საქართველოს კანონმდებლობა ბანკების საქმიანობის რეგულირების სფეროში დასავლეთურისაგან მნიშვნელოვნად ჩამორჩება, რაც საქართველოს ბაზარზე ახალი ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების მასშტაბურ გავრცელებას აბრკოლებს, მაგრამ ამავე დროს დიდი შესაძლებლობების პოზიციონირს ხსნის. საქართველოს საბანკო სექტორში ცალკეული პრეცედენტების წარმოქმნასთან ერთად მისი საკანონმდებლო ბაზაც ვითარდება. მაგალითისათვის, კანონები სეკიურიტიზაციის შესახებ, კლირინგის შესახებ საქართველოს ბაზარზე საინვესტიციო და ფინანსური კომპანიების რისკების მნიშვნელოვნად შემცირების შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ საჭიროა გვახსოვდეს, რომ ბოლო პერიოდში ძირითადი საკანონმდებლო ყურადღება გამახვილდა იყო ლიკვიდობის უკმარისობის პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებებზე, მეანაბრების ნდობის განმტკიცებაზე და ბანკების კაპიტალიზაციის

ამაღლებაზე – მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგებთან ბრძოლაზე. ასევე უნდა იქნეს აღნიშნული საქართველოს საბანკო სექტორში ინოვაციების განვითარების ისეთი თავისებურება, როგორიცაა: ეროვნული (ცენტრალური) ბანკის – რეგულატორის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება – არ დაკმაყოფილება, არადა სწორედ მის ძირითად ამოცანას დარგის ფუნქციონირების სტაბილურობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერა წარმოადგენს, ამდენად სახედასხედველო საქმიანობასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდებში მთავრობისა და პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე ეროვნული ბანკის ქცევაც საკმაოდ საკამათოა და მასზე მეტი დაფიქრებაა საჭირო.

დასკვნა: ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შემდეგი სახის დასკვნების გაკეთება არის შესაძლებელი:

საბანკო დარგში ინოვაციებად შეიძლება ჩაითვალოს: ახალი საბანკო პროდუქტების ან მომსახურების ეკონომიკური რეალიზაცია, უკვე არსებულების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, აგრეთვე ბიზნესის გაძღოლის საქმიანი პრაქტიკის ახალი ტექნოლოგიური, მარკეტინგული, მმართველობითი ან ორგანიზაციული მეთოდები.

დამტკიცებულია, რომ ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება და მის შედეგად საბანკო ინოვაციების შექმნა გარკვეული ეკონომიკური ან სტრატეგიული ეფექტის მიღწევაზეა მიმართული, რომელთაც შეიძლება მივაკუთვნოთ: ბანკის ფინანსური შემოსავლის გადიდება, ახალი კლიენტების მოზიდვა, ბანკის საბაზრო წილის გაფართოება, საკრედიტო ორგანიზაციის მუშაობის დანახარჯების შემცირება და სხვები.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში, კლიენტების გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით და შესაბამისი პროდუქტიული ჯგუფების გავითარების მიმართულებაზე დამოკიდებულებაში, მიღებულია გამოყოფილი იქნეს საბანკო ინოვაციების შემდეგი ჯგუფები: ინოვაციები ბაზრის არატრადიციულ სეგმენტებზე; ინოვაციები ფულად-საფინანსო ბაზარზე; ინოვაციები სასესხო კაპიტალის ტრადიციულ სეგმენტებზე; ინფორმაციული და კიბერნეტიკული ტექნოლოგიების განვითარება; ბიზნესის გაძღოლის კლიენტებზე ორიენტირებული მოდელის დანერგვა; საკუთარი ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაცია.



ბანკოვნების ლიტერატურა:

1. Бархатов И.В. – Особенности инновационных банковских услуг // Вестник Челябинского государственного университета, 2011, № 34. С. 130-135.
2. Березовская М. – Инновационный аспект экономического развития // Вопросы экономики, 1997, № 3. – С. 58-66.
3. Викулов В.С. – Концептуальный подход к разработке инновационных стратегий коммерческого банка // Финансовый менеджмент, 2010, № 5. – С. 106.
4. Кох Л.В., Смольянинова Е.И., Просалова В.С. – Инновации в банковском бизнесе. – СПб.: Изд-во Политех. ун-та, 2009. – 49 с.
5. Кох Л.В. – Эффективность инновационной деятельности банка: теория и методология: монография. - СПб.: Изд-во Политех. ун-та, 2008. – 24 с.
6. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. - თბილისი, 2014. – 548 გვ.

**THE MODERN TENDENCIES OF THE DEVELOPMENT
OF BANKING INOVATIONS**

**AKAKI GVARUTSIDZE - GTU professor,
E-mail: akaki.gvarutsidze@mail.ru
GIORGI TSAAVA - GTU professor.
E-mail: g.tsaava@banklabonline.com**

Summary

In the article „The Modern Tendenties of the Development of Banking Innovation” was found that the banking industry’s innovation can be considered an economic implementation of new banking product or service, a significant improvement of an existing, and the introduction of new technology, marketing, management or organizational business practices business.

It is proved that the conduct of innovation policy and the creation in its wake banking innovation aimed at achieving a particular economic or strategic effects, which can include: an increase in the bank’s financial income, attract new customers, expanding the market share of the bank, reducing the costs of operation of the credit institution and other .

It is noted that in the global banking practice to distinguish the following groups of banking innovation, depending on the direction of the respective product group in order to meet specific customer needs: Innovation in the non-traditional market segments; Innovation of the financial market; Innovation traditional segments of loan capital; The development of information and cybernetic technologies; Implementation of customer-centric business model; Optimizing your own business processes.

Keywords: Innovations banking, Innovation investment, Competition, Globalization, Technology, Bank sector, Model.